საქართველოს მთავრობის განკარგულება

№789 — 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „SOCAR Georgia Investments"-ს შორის 2012 წლის 18 სექტემბერს დადებულ „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყულევის თიზი) შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობასა და შპს „ფაზის ოილს" (შპს „SOCAR Georgia Investments"-ის უფლებამონაცვლე) შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის მოწონების, შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილისათვის მინიჭებისა და შპს „ფაზის ოილის" საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ" და „ი" ქვეპუნქტების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „SOCAR Georgia Investments"-ს შორის 2012 წლის 18 სექტემბერს დადებულ „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყულევის თიზი)

შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის სახელით, მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს.

3. შპს „ფაზის ოილი“ (შპს „SOCAR Georgia Investments“-ის უფლებამონაცვლე) გათავისუფლდეს საქართველოს მთავრობასა და შპს „SOCAR Georgia Investments“-ს შორის 2012 წლის 18 სექტემბერს დადებული „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყულევის თიზი) შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ“ ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**